ქრისტიანული პოეზიის II ფესტივალი

წმინდა ნინოს ჯვარი

კრებული II

თბილისი
2012

ქრისტიანული პოეზიის ფესტივალი “წმინდა ნინოს ჯვარი” ტარდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით.

ქრისტიანული პოეზიის II ფესტივალზე “წმინდა ნინოს ჯვარი” ლექსები წარმოადგინა 121 ავტორმა.

წინამდებარე კრებულში შესულია 50 ავტორის ლექსი.

ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე
ლია დაუშვილი

ჟიური:
მამა ილია (ნუგზარ ჩიკვაიძე)
ბაღათერ არაბული
გივი ჩიღვინაძე
ზურაბ თორია

რედაქტორი
აკაკი დაუშვილი

©გამომცემლობა “ქაღალდის წერო”, 2012

ISBN 978-99928-999-6-0 (ყველა კრებული)
ISBN 978-99928-999-8-4 (კრებული II)

ვანო ჩხიკვაძე

მცხეთა

1. წმინდა ნინო

_ ნინო! _
გაზაფხული დაგიძახებს,
კვირტების წათლილი ფერადებით
ჩამოყრის ლოლუის ყაისნაღებს
მარტი _ დაძონძილი დედაბერი.

თავი მოვუდრიკე დარბაისელ
თრიალეთის მთების გაყოლებას.
მოჰფენს სურნელებას ნამაისევს
ლურჯად იასამნის აბოლება.

ეს გზა მძიმე ჯვარით გაგივლია _
ახლაც, განთიადის დადგომამდე,
ველურ ბროწეულის ყვავილივით
მცხეთის სანახებში ამონათდი.

უხსოვარი დღიდან ღამენათევს
მიხმო გაზაფხულის მოძახილმა _
გულზე ის ვარსკვლავი დამექარგა,
შენ რომ მცხეთის კართან მოგაცილა.

ნინო, საუკუნის გადასახედს,
შვების წმინდა ცრემლი აწვიმე და,
ჯვარი ერთხელ კიდევ გარდასახე
რაიც უფლის ნებით გაბრწყინდება.

2. სვეტიცხოველთან

ძველ სამრეკლოში ქარი ხმაურით
კითხულობს გაბმით ფიფქის სტრიქონებს.
მითხარი, ღმერთო,

ეს სასწაული,
როდის ან ვისთვის გამოიგონე.

კიპარისები თავს რომ დახრიან,
შენდობას გთხოვენ ყველას მაგიერ,
ათოვს სამთავროს,
ათოვს მაყვლიანს,
ათოვს შენს საფლავს, მამა გაბრიელ.

თეთრი თოკები ცამდე ასული,
ქარაშოტების მიმოქროლვაში,
სარწმუნოების ასომთავრული _
გარინდებულა ჯვარი თოვაში.

ბარდნის ღიმილი ზეციურ მრევლის,
მომნუსხავს ტაძრის ყელმოღერება.
ეშვება ციდან ოსტატის ხელი
და სვეტიცხოვლის მხრებს ეფერება.

მაია მიქაია

სულში ვუცოცხლე უფალი

წმიდაო მოციქულთა სწორო დედაო ნინო, ევედრე ღმერთსა ჩუენთვის.

გზაო, უგზოვ და მთიანო, მზეო, იმედო ხვალის,
ამ ცისკენ უნდა ვიარო, ვატარო ვაზის ჯვარი!
ქვეყნად ქროლისგან დაღლილო, ქარო, ქცეულო სიოდ,
ლოცვავ, სიზმარშიც ნამდვილო, დილამდე უნდა გდიო.
სადღაც, ღრუბლების გადაღმა, ერთი ქვეყანა არი,
სადაც ცამეტმა ქადაგმა ცამეტი ზიდა ჯვარი.
მე კი ათასჯერ დაგლოცავ, წყაროვ, ნასვამო პეშვით,
უფლის ხმა ღრუბლებს გამოსცდა ივერთა ქვეყნის მთებში.
ჩემთვის ქცეულა სამშობლოდ, მე _ მოვვლენივარ მშობლად,
კურთხეულ ქვეყნის საობლო ბედისკვერების მცხობლად.
მთაში ხანჯალი ავლესე, ფერი ვაწურე ნართავს,
ბარში ვაზს მივუალერსე და ხორბლის მწიფე თავთავს.

სანამ მზე დაიღამებდა, ცეცხლის ალს სცემდნენ თაყვანს,
სანამ უფალი გამეფდა, სწირავდნენ გაცს და არმაზს.
სულიც ხომ უნდა დაღვინდეს, როგორც ცრემლები ვაზის...
ჩემს კეთილშობილ მასპინძელს მხარზე მიმინო აზის,
მოუწევს რწმენით ეახლოს სიწმინდეს ღვთის და კაცის,
უფლისად ლოცვით შეახოს ბაგე უწმინდეს ბარძიმს.

მოვდივარ, სისხლის ცრემლი მდის, ეს მერამდენედ მოველ!
რწმენის და მიტევებისთვის უფალი ჩემში ვპოვე.
ვანთებ, თუმც ზოგჯერ უალოდ, ღვთით მირონცხებულ კანდელს
და ჩემი ლოცვა, უფალო, იცავს ქვეყანას ნათელს.
აქ სიყვარული მკურნალი ვისწავლე თმენით მშობლის,
სულში ვუცოცხლე უფალი ერს, რწმენით ახლად შობილს.
და დავანათლე განდგომილს ფლობა სულიერ განძთა
და ჯვარცმისა და აღდგომის ასიათასჯერ განცდა.
როცა ამ ბუდის არწივი ამაყად უფრენს ამ მთებს,
ასკილისფერი აპრილი გაზაფხულის მზეს ანთებს
და ერი როს ღვთისმოსავი აღდგომის ღამეს ათევს,
ასიათასი მოწამის საშვილიშვილო ნათელს
სულით ატარებს უხილავს და სანთელივით იწვის,
უფალი ჯერ არ უხილავს, მოწმეა უფლის სიბრძნის _
მკვდრეთით აღსდგება ლაზარე, ტაძარში ექო ისმის
ვაზის ჯვარივით ნატარებ, ჯერ ამოუთქმელ სიტყვის.
ძველს გაპოვნინებს საუნჯეს მუდამ ძიება ახლის...
საუკუნეებს გაუძლებს პატარა ბუჩქი მაყვლის.
მე კი ვლოცავდი ნიადაგ, დღესაც ვლოცულობ მათთვის,
უფლის ნათელი მიადგა უწმინდეს ტაძრებს ქართვლის.
დილით ხატის წინ დაჩოქილს ვინ დამავიწყდა, ნეტავ,
ვისი ნატვრა და ნათრთოლი მაქვს მისატანი ღმერთთან?!.
მადლი ანთებულ კელაპტრის ჭირშიაც უნდა გწამდეს,
ქალი დედაა ყველასთვის, როცა ღმერთს უნთებს სანთელს!

სანთელი, უფლის ნაკურთხი, აქ ჩაუმქრალად ენთო,
ღვთისმშობლის წილხვედრ ამ კუთხეს კალთას ვაფარებ, ღმერთო!

ლელა ცუცქირიძე

საალილო იავნანა

არ შეგეშინდეს სიცივისა, იავნანინა,
დადგა საღამო _ შობისპირული,
შენი სარკმლიდან
ანგელოსი შემოფრენილა,
შაქარყინულად უქცევია მყიფე ყინული.
შემცივნულია ანგელოსიც, იავნანინა
და ფრთები უკრთის.
ცივ სახლში ჩვილი ავად არისო, იავნანინა,
წუხს და პირთამდე
ალიცლიცებს გათოშილ სახლს
შობისპირულით:

მოგიყვები ქრისტეშობის ღამისასა
და გიმღერებ საალილო ნანინასა,
ნუ გეშინის...

ცაზე ვარსკვლავია, როგორც კერამიკა
მიწაზე თოვლია _ ფაფუკი ჩითილი,
რომელსაც შობისთვის
ლოცვით და გალობით,
რგავს უფლის მებაღე _
მშვიდი სერაფიმი,
და ქარიც, საშაროდ, საავდროდ მოსული
უსტვენს ამ საღამოს სამოთხის ჩიტივით
ბაგასთან,
იქ, სადაც ჩვილის თეთრ სახვევებს
აცვივა მთიების და ხომლის ნაფხვენი.
დღეს მოდის იესო _
შენსავით პატარა,
ბაგეზე უბრწყინავს სიკეთის ნამცეცი,
ხვდებიან ბატკნები ეჟვნების ჟღარუნით,
თოვლის აქვთ დრუნჩები, თოვლის აქვთ კრაველი...
გზა ისე ძნელია,
რაც უნდა გაიაროს,
შენამდე მოვიდეს,

ვინ იცის, რა ელის...
გზა ისე ძნელია,
რაც უნდა გაიარო,
მასთან რომ მიხვიდე,
ვინ იცის, რა გელის...

არ შეგეშინდეს, იავნანინა,
საალილოა ყველა ნანინა,
რაც ამ საღამოს იმღერება,
თბილია სახლი,
ანგელოსს ფრთიდან ჩამოეწვეთა
როგორც შემდნარი კარამელი,
იესოს მადლი,
გერგება წამლად
და ყველაფერი:
პაწია კოვზი ბლისკუნწულიან ჩაის ჭიქაში,
ღია სარკმელში მოჭვრიტინე ლოლუები,
მშვიდი ფშვინვით აცეკვებული ზანზალაკი საწოლის თავთან...
იმღერიან ქრისტეშობის ღამისასა,
იმღერიან საალილო ნანინასა.

შობისპირულია და
კეთილი იყოს შენი მოსვლა,
იესო...
მალე ალილოა და
კირიე ელეისონ,
კირიე ელეისონ,
კირიე ელეისონ...

მურად მთვარელიძე

ნათელს იღებს მირიან

მცხეთის ბჭესთან მოგვი რასმე უბნობს,
ვარდის რტოზე ბულბულები ტირიან,
ლოცვადა დგას მაყვლოვანში ნინო,
შენ სად მიხვალ, მირიან?!

არაგვს თავზე წაადგება ბინდი
და ნათელიც ახლა უფრო ძვირია,
შენ კი გული რად არა გაქვს მშვიდად,
ვის დაეძებ, მირიან?!

მაღლა ცაა _ ლაჟვარდების ცეცხლით,
დაბლა მცხეთა, სადაც შენი ძირია,
სულში ბრწყინავს ოქრო, განა ვერცხლი,
რას შეჰყურებ, მირიან?!

ნუთუ ქრისტეს აუმღერე ქნარი,
ნუთუ ქრისტე შენი რწმენის კირია?..
მაყვლოვანში წმინდა ნინოს ჯვარით,
ნათელს იღებს მირიან.

აწ ყველაფერს სულ სხვა თვალით უმზერ,
ეს დიდებაც ახლა ბზე და წვირია,
ნინოს ჯვარს რომ ჩამოიფენ გულზე,
ნეტავ რას გრძნობ, მირიან?!

ივლისის მზე წამით წარბებს შეჰკრავს,
ეს ლერწამიც ახლა უფრო სტვირია,
მცხეთა ბინდით იმოსება, შენ კი
ქრისტეს ნათლით, მირიან!

ირგვლივ ცაა მშობლიურზე მეტი,
მიწაც ახლა ასგზის უფრო ტკბილია,
მაყვლოვანში შეხველ როგორც მეფე
და წმინდანად გამოხვედი, მირიან!

დავით შემოქმედელი

უფლის საყდრამდე

კაენი ისევ ბოგინებს,
აბელი ისევ ტირის,
მზე ყინვის ამსხვრევს ბორკილებს,
სიცოცხლე წვეთშიც ღვივის.
ცა ისე გასუდრულია,
როგორც გვირილა თოვლში,
სამყარო თოთო სულია
დროსთან უვადო ომში.
ვდგავარ, ბნელ უფსკრულს ჩავცქერი,
ცისკენ გამირბის თვალი
და ცოდვის მღვრიე ლანქერით
ფიქრი მაქვს ნამეწყრალი.
მხარმარჯვნივ _ უფლის სახეება,
მხარმარცხნით _ ეშმას მახე,
და ქარ-ყინვების ჯირითით
დასერილი მაქვს სახე.
ავს ვინ მოუსრას სათავე,
მართალს განუხსნას ცანი,
უფალო, შენს დიდ საყდრამდე
მიმოასწორე გზანი.

ცირა ყურაშვილი

წმიდა ნინო

ნუში ჰყვაოდა მას ჟამსა,
დედოფალო, ორბის მზერით
როს აერთა სიმაღლიდან
ფრთები მცხეთას მოუტევნი.
საკვირველი, საღმრთო სრბაჲ
დედოფალო, ნიშს დაიდებს
ნაკლებ _ დედაკაცობით და,
მეტად _ მამაკაცებაჲთ.
ხედავ _ ღმერთად ხადენ რკინას,
გამობერვით განჭედილსა,
ხედავ _ ჩვილებს ვითარც თივას,
ვითარც თივას ესრეთ თიბვენ;
და დაუბრდღვენს ძალი შენი
ძუ ლომივით რვალის ქვევრებს,
დაუბრდღვენს და იმავ კერპებს
აქეთ-იქით მიარეკებს.
დააცხრება სეტყვის ქვებად
წამხდარ ვაზებს, ქვევრის დურდოს,
თუ ვიგლოვოთ, ჩვენვე შევსვათ
იმ კერპების ნაცარტუტო.
დედოფალო, ძალით შენით,
სრულის მამაკაცის ძალით
ორშიმოთი ამოგვქონდეს
დროშმის* ჩამოფქვილი რვალი.
დედოფალო, ბაგით შენით,
ბნელის ნათლად გარდამქცევით,
ჯურღმულით აღმომდინარით,
წყაროით დაუწყუედელით;
დედოფალო, ხატით შენით,
თეთრად აფეთქილი ნუშით
ტკბილი უფლის თანალმობით
ქართლი ნუღარ მოიქუშვის.

***დროშმი** _ ყოელთა კერპთა სახელი არს

მარიამ წიკლაური

ილია

ყველას გავუძლებ, როგორც კლდე ქვისა,
ბედთანა ბრძოლა ვით მეშინება?!
ხოლო ჩემ თავის არაფრობისა,
არ ძალმიძს ძმანო, ვერ რით გაძლება!
ილია ჭავჭავაძე

გიხსენებენ დიდებით და ლოცვით,
ეგ სახელიც მამულივით ტკბილია.
სიმართლე ხარ ჩემი სამშობლოსი!
სიმართლე ხარ, შენ, ქრისტესიც, **ილია!**
ჯვარზე ახლაც გაკრულია მხსნელი,
სისხლის ვარდი ფერდზე გადახსნილია.
არ ძველდება ტკივილები ჩვენი,
არ ბერდება ჩვენი მტერიც, **ილია.**
არაფრობას შეგვაგუონ, უნდათ.
სულიც, უნდათ, დაემსგავსოს რკილიანს.
მაგრამ ვისაც ბედთან ბრძოლა უყვარს,
მომავალიც ხომ მისია, **ილია?**
სულ გვაფხიზლებ, თანამდევო სულო,
სულ გვერდით ხარ, ჭირია თუ ლხინია!
ენას, მამულს რწმენას გვიერთარსებ,
სამებისებრ რჯულად გვიწერ, **ილია!**
საქართველოს მხსნელად განეჩინე,
ბედისწერის წიგნი გადაშლილია:
როგორც ქრისტე უგოლგოთოდ, ისე _
უწამებლად ვერ ივლიდი, **ილია!**
მერამდენედ რჩეულ შვილებს ვირჩევთ,
არ გვეშლება, ვინც ნამდვილი გმირია!
მერამდენედ საქართველო ისევ,
თვითმკვლელობის ცოდვას ჩადის, ილია?
ღვთის ხელდასხმულ შუბლზე ირჩევს სიკვდილს,
მათი ხელით, ვინც ბნელეთის მღილია.
უკვდავებას იხანგრძლივებს ასე,

წამებული საქართველო, **ილია.**
უკვდავების იქით იცის, რაა,
იცის, ტანჯვით მარადი გზა ხსნილია.
შობს საკუთარ მხსნელებს ჟამიდანჟამს,
მკვლელებსაც შობს, მკვლელიც მისი შვილია.
საქართველო მითი არის ძველი,
ამ მიწაზე ჟამსიქითაც ივლიან.
გულზე დაგდის ქართვლისდედის ცრემლი,
ჩვენი ცოდვის სასყიდელი, **ილია.**
აქ აღდგომის აღესრულა მადლი,
რომ ცოდვაზე სინანული გვეზარდა.
წიწამურთან ომი ედგა სიკვდილს.
დამარცხებულს, თავის თავიც შეზარდა!
უცდომელად იცის საქართველომ,
ვინ გასწიროს თავის გადასარჩენად!
რასაც მამულს აპატიებს ღმერთი,
ჩვენ არასდროს გვაპატიოს გამჩენმა!
გიხსენებენ დიდებით და ლოცვით,
ეგ სახელიც მამულივით ტკბილია.
სიმართლე ხარ ჩემი სამშობლოსი,
სიმართლე ხარ, შენ, ქრისტესიც, **ილია!**

ვიკა მჟავანაძე

ჯვარი ვაზისა

წაღი შეხსნია,
შემოცვეთია
ნაქსოვი წინდა, _
სოსანისფერი...
და მძიმე ტევრი
ხვეული ლერწზე,
ჩაწნული თმაში,
ვით ტვირთი ერის, მოაქვს ნინოს,
მოაქვს რუდუნით...

და ხიბლავს მთებზე
მზის ანარეკლი
და მტკვრის დუდუნი.
გზადაგზა ცვდება ნაქსოვი წინდა,
მძიმდება ჯვარზე გაკრული ტევრი...
ბოლოს და ბოლოს,
თვალი რომ ჰკიდა,
უეცრად შეკრთა,
და, როგორც იქნა,
წამოემართა:
_ ეს არის! მცხეთა!
და დაიბერტყა ფეხთაგან მტვერი.

ვერიკო ზამთარაძე

დღეს საქართველო...

მწუხრისფერია ახლა თვით ზარზმა,
ნაოქტომბრალი ბინდით ნაფერი...
და თვითმკვლელობის კეთილმა აზრმა
გააფერმკრთალა აქ ყველაფერი.
მომნატრებია ზეცა ხახულის
თვალებდაბერილ ქუთუთოებით.
იდგა ამინდი ჯერ არნახული,
მზე წმინდა ნინოს რთავდა რტოებით.
ჩამოეშალა ნაოჭი ხანძთას,
შორით უმზერდა გრემს და ალავერდს.
ოცნება ახლა დარიალს გაცდა
და ჩამოვარცხნა გარეჯს დალალი.
ჩემი ნატვრები ძველი ოშკია,
ლოცვით ნაფერი ცრემლი ტიმოთე.
დღეს საქართველო ციხე-კოშკიან
ღვინოში ჩამბალ გულით ილოთებს.
შემომეშველე ჩემო ალგეთო,
აუჩეხიათ თორემ ედემი.
ამ უპატრონო ქართველ ხალხს ღმერთო,

გასაბრწყინებლად ეიმედები.
მიდით, დარეკეთ ზარები გელათს,
იყალთოს რაღაც სულ სხვა ფერი აქვს.
თორემ შემოგვრჩა რუკა იმხელა
თითქოს არც იყო აქ ივერია.
ახლა მხოლოდ შენ მეიმედები,
ჩემო ჯვარო და სვეტიცხოველო,
ვით გაფრენილი რუხი მტრედები,
შეფერილია ახლა ყოველი.
ნუ ამომილბეთ ხსოვნის ჭიქაში,
სამშობლო მხოლოდ ღვინო როდია.
ათინათივით შემოდის ხაში
და ყანწებივით მთები მოდიან.
მე მაინც თვალი იქით გამექცა,
ეს ქართველობა საცა არ ყოფნით,
საცა ვარსკვლავად უნთია ზეცას,
ჩემი სამშობლო _ უფლის ნაყოფი.
გადავცდით ახლა წარსულს მეოცედ,
გადავაბიჯეთ როგორც იქნა და
მინდოდა გულში ჩუმად მელოცა,
მაგრამ ზვავივით ჩამომიქანდა,
ცაზე მოგვილი ღრუბლები ცოცხით,
ღინღლმორეული შავი პირი მთის
და აფხაზეთი ათლილი ხორცი
მიხმობდა როგორც კალმახს ქვირითი.

ნინო ქადაგიძე

თოვს

თოვს და...
კალთაში ნუკრივით უზის
ყრმა თავის დედას.
საუფლო კვართი _ თეთრი ქათიბი
(მოწინწკლული სისხლის წვეთებით)
სულ სხვა თეთრია...

_ აბა, მე რაღას მოვესწრები
მარტსა და აპრილს,
სადა სწერია?!
ღმერთო მიშველე!
გამაგონე გაბრიელის
ფრთების შრიალი,
მის ნაფეხურზე
გამომაზამთრე
და აკონილი იებით
და ფურისულებით
ეგ სიზმარი ისევ მანახე!
მანამდე თოვს და...
გულზე ნუკრივით მიჰკვრია კვლავ
ყრმა თავის დედას,
საუფლო კვართი _ თეთრი ქათიბი
მოწინწკლული სისხლის წვეთებით
მაინც თეთრია.

ციური ხეთერელი

ყოველ გაზაფხულს
წმინდა ნინოს

1.
ყოველ გაზაფხულს
თავფარავანთან,
რა გულის ძგერით გელი!
ჰოი, როგორ მტკივა
მაყვლით
შენი გაკაწრული ხელი!

2.
როგორ დაგვიწერე
ალვისტანავ!
ის სასწაული პოემა,
რა ძალა გქონდა
უმწეოს,

ვეფხვს რომ შეგადარა
პოეტმა!

3.
მაგრამ,
ეს რა ვსთქვი, წმიდაო,
უმწეოვ,
მხოლოდ წამით,
რამდენი მწვერვალი დაიპყარ
შენი თმებით შეკრულ
ჯვარით!

4.
ამ ჯვარზე ვართავთ
რა ხანია,
მწარე ფიქრების გორგალს,
ის ხმაც
ორლესული ხმალია,
შენ რომ დაუწმინდე
გოგლას.

5.
რა ხანია
მკვიდრად თავს ვაფარებთ
შენს აშენებულ კარავს,
გვაჟრჟოლებს, ნინო,
სტრიქონები, _
შენ რომ დაუმშვენე ანას.

6.
ამ გაზაფხულზეც
თავფარავანთან
რა გულის ძგერით გელით!
გვტკივა, დღესაც გვტკივა
მაყვლით
შენი გაკაწრული ხელი.

ნინო ბაქანიძე

გზა შეუცნობელი

მზემ ჩაიწურა დალალები ბალღის თვალებში,
სარა ნიაფორს კდემა-რიდით მოუხმობს ნინო:
“უტკბესო ძიძავ, მექმენ სხივად უკუნ ღამეში,
იესოს გზებზე, მის ვნებებზე, გვედრი, მასმინო”.

მაცხოვრის ხატთან მუხლმოდრეკით ლოცულობს სარა,
მხსნელს შეავედრებს მერამდენედ უმანკო ასულს.
კუალად დახრილი სასთუმალთან, გალობის დარად,
ჰყვება, ვით შეხვდა უდაბნოში იესო ავსულს.

ნინოს კი სძინავს და სიზმარში მამა _ ზაბულონს
სჭვრეტს ვით მავალსა უდაბნოში იორდანიის.
მძაფრ მონატრებას ხმა ციური უმალ გაუქრობს:
“დრო ახლოვდება, აღსავლის ბჭეს ღირსი განივლის.

ილოცე, ბალღო და იესოს მადლით ცხებული
დაითმენ ყველა შეჭირვებას, ჟამსა ულმობელს”...
და ელის ნინო, მხურვალ ლოცვით განათლებული,
როს დაადგება მაცხოვრის გზას, ჯერ შეუცნობელს.

რონა ბუბუტეიშვილი

ნინოს ჯვრით

ბოდინის ჭალაში დაათოვს ასკილებს,
სად ხმაა არვისი და არარაისი,
წარმართთა კერპების დამსხვრეულ ნაწილებს,

ცა ფანტავს ნისლებად ,,ცდომილ” აისის...

ჯვრის ნიშით დაწყებულ გზას უკვდავებისას,
გზას განკურნებისას ვნებული მოგვების,
წმინდაო, მათ შენი ნათელი ეღირსა,
წმინდაო, შენთან ვართ, ფეხდაფეხ მოგყვებით!...

ჯავახეთს მზე დათბა, ვით ერთ დროს კოლასტას,
და მწუხრი არმაზის კედლებად დაიმსხვრა,
ველური ვარდები ყვებიან სონატას,
და მიწას ქართლისას ჰკოცნიან ნაისრალს...

დღეს ისევ გვჭირდები, ვით ერთ დროს მირიანს,
მზეშემობინდული ცის აიაზმებით,
დღეს ისევ გვჭირდები, სულს შერჩენილი აქვს,
იუდას ღალატის კვლავ მეტასტაზები...

ბოდინის ჭალაში ძველ სამარხებიდან,
იღვრება სინათლე, სითბოს და სინორჩის,
ნინოს გზით ქართველნო! წარსულის გზებით და
მომავლის ბილიკით, კვლავ წმინდა ნინოს გზით!

მაკა გელაშვილი

ცხოვრება ღირსისა მამისა ჩვენისა ეფრემ ასურისა

ეძღვნება ბოლნელ ეპისკოპოსს ეფრემს (გამრეკელიძე)

ნიზიბიიდან იწყებს სათავეს
ცხოვრება ღირსი ეფრემ ასურის,
გულახდილობით გვიმხელს წმინდანი
ამაოებას თავის წარსულის.

სიჭაბუკეში განიზრახავდა,
შემთხვევით იყო რაც რამ ხდებოდა.

ბუნებით ფიცხი ხშირად დაობდა
და დაბრკოლებაც ბევრი ხვდებოდა.

სულ ახალგაზრდა, ქცევით უჯერო,
მრუშმა აზრებმაც ბევრჯერ აწამეს.
ერთ დღეს ეფრემი ჩასვეს ციხეში,
ცხვრის მოპარვაში ცილი დასწამეს.

პყრობილებიდან მერვე ღამისას
ვიღაც უცნობი სიზმრად ეჩვენა,
რომელმაც უთხრა: “დაიმსახურე
უსამართლობად რაც მოგეჩვენა.

რაც გიფიქრია, გიკეთებია,
ამის შედეგი არის სასჯელი,
უფლის წინაშე ბევრჯერ შესცოდე,
ახლა ამიტომ ხარ განსასჯელი”.

ამ ჩვენებისგან სულით შეძრული
ყმაწვილი გახდა ღმერთისთვის სათნო.
საპყრობილედან გამოსვლის შემდეგ
ესე ქვეყანა უმალვე დათმო.

წავიდა მთებში განდეგილებთან,
ნიჭად ებოძა სიბრძნით სავსება,
მის ბაგეთაგან სიტყვების მადლი
ლმობიერებით გულებს ავსებდა.

.....
როს ნიზიბია სპარსელთა გამო
ქრისტიანთაგან ბევრმა დატოვა,
ეფრემ ასურიც იყო მათ შორის
თავისი კუთხე ვინც მიატოვა.

უფალს მიმართა: “ქალაქ ედესოს
ხილვა მაღირსე, იესო, გვედრებ!
მასში შესული სულს ვასარგებლებ,
ვინმე განსწავლულს თუ შემახვედრებ”.

და როცა ქალაქს მიუახლოვდა,
მის გასაკვირად შემოხვდა ქალი.
დასევდიანდა: “სიბრძნეს ვით მეტყვის

ეს დედაკაცი ჭიშკართან მდგარი?”

ჰკითხა: “რად დგახარ და შემომცქერი?
მარქვი, ღვთის მონას რად მიმზერ ასე?”
ქალის პასუხი, მის გასაოცრად,
იყო სიწმინდით და სიბრძნით სავსე:

“მე ნუ მიყურებ, უცქირე მიწას,
რომლისაგანაც ხარ მოღებული!
მე გიმზერ, რადგან დედაკაცი ვარ,
შენი გვერდიდან გამოღებული!”

განკვირვებული ეფრემის თვალში
გონიერებით ქალი განდიდდა.
წმინდანის თხოვნა შესმენილ იქნა
და პასუხისთვის ღმერთი ადიდა.

ერთხელ ასეთი რამე შეემთხვა,
მეძავმა მისი ცთუნება სცადა,
ბოროტით აღძრულ ამ დედაკაცზე
ბერი დაფიქრდა და გამოსცადა:

“თავს არ მანებებ და არ მცილდები,
ასე ძალიან გინდა, რომ ვცოდოთ?
გამომყევ, სადაც ბევრი ხალხია
და იმ ადგილას დავწვეთ, შევცოდოთ!”

გაოცებულმა ქალმა კი უთხრა:
“არ შემიძლია, მრცხვენია ხალხის”.
ბერმა ამხილა: “რამდენგზის უფრო
უნდა გრცხვენოდეს ღმერთის და ხატის!”

შემდგომ ამისა ესე ცოდვილი
მისცა მონასტერს ხსნისათვის სულის,
საღმრთო წერილით შეძლო დამოძღვრა
ვნებებისაგან ზღვარგადასულის.

.....
გამოხდა ხანი, მახლობელ მთაზე
სულიერ ღვაწლში იყო ეული,
ღვთივბოძებული ზეგარდმო ნიჭით
განმარტა მოსეს ხუთწიგნეული.

ხილვაში ემცნო, რომ ყოფილიყო
ხალხის ღვთის სათნოდ განმსწავლებელი,
ამიტომ მთიდან მყისვე დაბრუნდა,
ქალაქში გახსნა სასწავლებელი.

ღირს მამას ჰქონდა გამოცხადებაც,
სვეტი ცეცხლისა ზეცამდე მიდის.
ხმა გაიგონა: "ეფრემ, ამ სვეტის
მსგავსი არისო ბასილი დიდი".

კაბადოკიის კესარიაში
წავიდა, მისი ნახვა ისურვა,
ხმამაღალ სიტყვით იწყო ღაღადი
ეკლესიაში ლოცვით მისულმა:

"ზეცად აღმართულ ცეცხლოვან სვეტს ჰგავს,
ღვთიური მადლით არის აღვსილი!
სულიწმიდაა მის ბაგეებზე
და ჭეშმარიტად დიდ არს ბასილი!"

ღვთისმსახურების დასასრულისას
ბასილმა ჰკითხა: "რატომ თქვი ასე?"
ბერმა მიუგო: "მტრედი ვიხილე
დადგრომილ გყავდა მარჯვენა მხარზე.

ის გკარნახობდა მრევლისთვის სათქმელს,
იყავ მოსილი ცეცხლის ენებით.
სულიწმიდა რომ ივანებს შენზე
ეს განმიცხადდა დღეს ამ ჩვენებით".

წმინდანმა უთხრა: "შენი საქმენი,
დაე, მაღალმა ღმერთმა აკურთხოს.
ასეთი მშვიდი და ურისხველი
ეფრემ, ხუცესად მინდა გაკურთხო".

ბერმა თავმდაბლად გასცა პასუხი:
"ვით გადავფარავ უთვალავ ცოდვებს?"
ბასილი დიდმა წამოიძახა:
"შენი ცოდვები ნეტავ მე მქონდეს!"

შემდგომ ამისა ეპისკოპოსმა

ეფრემს დიაკვნად დაასხა ხელნი
და სათნომეტყველ მამას უსურვა
სიცოცხლისათვის მრავალი წელნი.

.....
ეფრემ ასური, თავისი სიბრძნით,
ამბობდა ყველა ცოდვილს რაც ღუპავს,
ღრმასულიერი ქადაგებებით
მრავალ განწირულ სულს სძენდა უფალს.

ხალხს მოაჩვენა თავი სალოსად
როს მღვდელმთავრობა მან არ ინება,
თავმდაბალი და მორჩილი თვლიდა,
წარმავალია ყველა დიდება.

იმხანად გაჩნდა ცრუ წინამძღოლი,
ქადაგებები იწყო მაცდურად
და ხელოვანი ელინურ სიბრძნის
მართლმადიდებლებს ექცა საცდურად.

მრავალი წიგნი, რაც კი დაწერა,
სულისთვის მავნე ბევრჯერ ხდებოდა,
მისთვის ძვირფასი ორი მათგანი
ერთ დედაკაცთან ინახებოდა.

ეს რომ შეიტყო ღირსმა ეფრემმა,
არ დაუწყია დიდი ხნით დაცდა,
ქალთან მივიდა ქება-დიდებით,
თავს მწვალებელის მოწაფედ რაცხდა:

“ამ საოცარი ადამიანის
წიგნები მხოლოდ ორი დღით მანდე.
მინდა, კეთილი სიტყვა ვიკითხო,
მინდა, მის სიბრძნეს მეც ჩავუღრმავდე!”

პირობა მისცა, გავუფრთხილდები,
დაგიბრუნებო ამ წიგნებს უცვლელს.
შინ წამოსულმა აიღო წებო
და დააწება ფურცელი ფურცელს.

როცა ორივე ქვასავით იქცა,
უკან წაუღო დედაკაცს სახლში.

ქალმა დააწყო თავის ადგილზე,
არც კი უცდია ჩახედვა მასში.

წმიდა ეფრემმა ამ მარჯვე ხერხით
ცრუ მოძღვრის გეგმა ისე ჩაშალა,
რომ მწვალებელმა პაექრობისას
წიგნი ვერაფრით ვერ გადაშალა.

ვერ დაამარცხა ქრისტიანები,
მისი კამათი არ იყო სრული,
ბევრი იდარდა გაწბილებულმა
და განუტევა ცოდვილი სული.

ასე იღწვოდა ბერი ეფრემი,
უკეთურების იყო მგმობელი.
ჩვენთვის დაწერა მრავალი წიგნი,
მრავალი ლოცვა, საგალობელი.

ღრმა სიბერეში გარდაიცვალა
უსათნოესი ეფრემ ასური
და ჩვენი ხსნისთვის მარად მლოცველი
უფლის საყდართან არის ასული.

ალექსანდრე დიდებაშვილი

წმიდა ნინო

მცხეთას აჩნია
წმიდა ნინოს საღმრთო ხატება
სანთლის სხივს გასცემს
მაყვლოვანის კარის გაღება.
მადლიან მიწას
აღარ ადგას კერპი საზარი.
ლოცვა კვლავ არის, _
სადიდებელი ხმა _ მაცხოვარის

ლერწების ჯვარი
თმების სურნელს
კვლავაც გამოსცემს...
ქვათა ღაღადი
და სიწმინდე,
დიახ, გვაოცებს.

.....
უფლის ღირსად
მიგვიჩნია წმიდა ნინომ,
და ისურვა ღმერთის მადლით
გაგვაბრწყინოს...
და მრავალი საუკუნე
გვსახავს ჯვარსა,
ზენაარით გზას გვილოცავს
სანუკვარსა.
თმის სურნელი დაუბედა
ვაზს და ღვინოს...
აგვამაღლე!
ცათა შინა, წმიდა ნინო.

ნატალია ვარადაშვილი

დეკალოგი

Gk. deka და logos
“ათი” და “სიტყვა, მოძღვრება” _ ბიბლიის ათი მცნება.

“წუხელი სიზმარი ვნახე,
ნეტავ, დედავ, რაო?” _ ფოლკლორი

ფარავნის ტბასთან წმ. ნინომ სასთუმლად “ლოდი” დაიდო და ესიზმრა კაცი, რომელმაც დაბეჭდილი წიგნი გადასცა. (დეკალოგი).

ნეტავ, დედავ, რაო?!
წუხელი სიზმარი ვნახე,
იქ სიტყვებმა გაიხარეს, ვარდ-შროშანებსავით,

ქართველთ მხარეს, თოვლიან მთებს,
შემოადგა ქარი, ლამაზ სახით,
ნორჩი ქალი, ღრუბელთ მომავალი.
წუხელი სიზმარი ვნახე,
ნეტავ დედავ, რაო,
არცა მამაკაცებაა, არც დედაკაცება,
სულიერი არ ჭაჭანებს ქვეყანაზედაო,
ერთნი გავხდით,
ჩვენ ყველანი, ბავშვი, ქალი, ყრმაო.
ნეტავ, დედავ, რაო?!
წუხელის სიზმარი ვნახე,
მოდიოდნენ ქართლის გზაზე
კაცნი მოსაგრენი,
ქვით, ირმებით, მგლით, ხატითა
ნათელსცემდნენ ადგილს,
სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა,
ნეტავ, დედავ, რაო?!
წუხელი სიზმარი ვნახე,
ნათელი გამოუბრწყინდა წარმართ შენსა ერსა,
ზედ დიდებად ისრაელისაო.
ნეტავ, დედავ, რაო?!
წუხელი სიზმარი ვნახე,
ქადაგებდნენ წმინდა წიგნსა
სასუფეველისას, ყოველს სოფელსაო,
ნეტავ, დედავ, რაო?!
წუხელი სიზმარი ვნახე,
ბანებზედ და შუკებზედაც გადმომდგარიყვნენო,
ქალი, რძალი, კაცი, ძე და ერთსულქმნილი ერი,
იწყნარებდნენ ნორჩ ალვის ხეს,
ცად ჩამოქნილ ტანსო.
ნეტავ, დედავ, რაო?!
წუხელი სიზმარი ვნახე,
რა ძალიან უყვარს უფალს, მარიამი, ვხედავ,
მარადის მის ჭეშმარიტ სიტყვას ყურს რომ უგდებს.
ნეტავ, დედავ, რაო?!
წუხელი სიზმარი ვნახე,
უეცრად, მოგვსწყვიტეს ხორცნნი, არ გვეშინიანო,
რადგან უკვე სულნი ჩვენი ვერ მოწყვიტონ მათო,
ნეტავ, დედავ, რაო?!
წუხელი სიზმარი ვნახე,
იესო მაგდალინელს ეუბნება ასე:
წადი და ახარე

დათა ჩემთა, შენ დედაკაცოო.
წუხელი სიზმარი ვნახე,
ნეტავ, დედავ, რაო?
ვიქადაგოთ უნდა ყველგან,
რომ გადავრჩეთ, შვილო,
სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა.

ლინა ბარათაშვილი

წმინდა ნინოს

ღვთისმშობელის
დამოძღვრილი გზებით,
წმინდა ჯვრით და
ქრისტესმიერ გზნებით
მაყვლიანში თაყვანსა გცემთ
ჩოქვით,
გევედრები,
ერთხელ კიდევ
მოდი!
ისევ იმ გზით
კვლავ მოგიხმობს
ქართლი,
ქრისტეს მცნებით
მოგვაქციე ახლით,
რომ კვლავ იყოს
დალოცვილი შვიდგზის
საქართველო – სათნოების
სახლი!
შეგვიბილწეს ფსალმუნი
და ჯვარი.
შეგვესია ,,სარკინოზთა”
ჯარი.
ქართველ ჯალალედინებს
და ყრუებს
ხელთ უპყრიათ
ცრუთა რწმენის

ჯვარი...
გულზე გვადევს
დარდის მძიმე ლოდი
და არ ვიცით,
მოვიშორებთ როდის?
ისევ ისე აწამებენ
ქრისტეს,
გოლგოთაზე
სისხლის გუბე დადგა.
სული კივის,
მაცხოვარი ვერ ცნეს,
ჭეშმარიტი აღარ უნდათ
კაცთა...
შეგვინგრიეს
უფლის სახლის კარი,
ჩამოგვაჭრეს მარჯვენა და
მხარი.
დგას თარეში
იაღოველ ბრბოთა,
სატანის და ჯოჯოხეთის
სწორთა.
სიმართლეა,
არ ვიგონებ ჭორთა.
ეს თარეში
წყალობით არს
ზოგთა...
სულის გვემა
ხორცზე უფრო მწარე,
გვაწამებს თან
მტკიცედ უნდა ვიდგეთ!
მოგვეშველე
გევედრებით, დაო,
საქართველო
დაიღუპა ვიდრე!
მოდი ისევ,
ჯავახეთით მოდი,
ფარავნიდან
მზის გამოჰყევ ფერებს,
ნაწამებს და
ქვით და ღორღით ნატკენს,
დაგიამებთ
ნაიარევ ფეხებს.

მესიზმრები,
ანგელოსთა დასით,
მზისებრ ბრწყინავს
ხელში ჯვარი შენი,
ფეხშიშველი,
ვით ლამაზი შველი
საქართველოს,
კვლავ ისევ შენ
შველი...
თანამდევო
ქრისტიანულ რწმენის,
ქართლის ბჭესთან
შეუცვლელად იდექ!
უფლის სახლით,
ხატით, ლოცვით, სანთლით
საქართველო
იარსებებს ვიდრე!

თამარ ფარჩუკიძე

ფერიცვალების ღამე მცხეთაში

საქართველოში ყველაზე გავრცელებული სახელია ნინო.

იმ ღამეს, როცა მეფის პალატნი,
წარმართთა ლხინით იყო ნათენი,
იმოსებოდა კერპთა ქალაქი,
ღვთივ საზეპურო ერის ნათელით.

იძრა სოფელი, ცას გადუვლიდა
და განკვეთავდა ალთა კრებული,
მიწას იჭერდა კვართი უფლისა,
ებრაელ დედას შემკერდებული.

გმინვა-გოდების ისმოდა ხმები,
მეოტ ეშმათა, მით ბევრეულის,

სისხლი, სამსხვერპლოდ შეწირულ ყრმების
იხილვებოდა წყალს შერეული.

ზათქი და ზვავი კერპოვან რღვევის,
ჯერ არ სმენოდა, თურმე, არავის,
შეამდუღრებდნენ ტალღებს ამღვრევით,
მდედრი მტკვარი და მამრი არაგვი.

არმაზის ციხით, ბაგინეთიდან,
შერისხულ მთათა ხმაჰყვეს გუგუნის...
უნდა მლოცველი ბაგით გეთია,
დედავ, იმ ღამეს სულის უკუნი.

უნდა მდგარიყავ ნეტარი მწყემსად,
მსახურ-დედუფლის სვებედნიერით,
და... გიხაროდენ, თვინიერ შენსა
არა არს დედა ქვეყნად ივერის!

ეუნჯებოდა ღმერთების ღმერთი,
“მუნ აღმობრწყინდნენ ოდეს მთიები”,
ჯვარნი დაადგრნენ ბოდბეს და მცხეთას,
მონანიების და პატიების.

განქარდა ურვა _ ხმათა სასტიკთა,
დილა სისხამით და ნაცვარებით,
იყო მეექვსე თვეი მარტითგან,
დღე იყო ქართლის ფერიცვალების...

ახლა მთვარე წევს არაგვის კარზე,
ცურავს სანთლისფრად და ნება-ნება,
ანტიოქიის ზარების ხმაზე,
მწუხრი საცისკროდ განიბანება.

ლიტანიობის ღამე ამაღლდა,
კეთილსუნნელი აუდის მირონს,
მუცლადღებული ყრმას შობს ამაღამ
და რა თქმა უნდა, დაარქმევს ნინოს.

ამაღამ, დღესაც და ხვალის ხვალაც,
ხარისთვალათა მწვანე ბარდნებით,
საქართველოში, გულგასახარად,
ყველაზე უფრო,

ყველაზე მეტად
ყველაზე ბევრჯერ დაიბადები!

ვაჟა ოთარაშვილი

წმინდა ნინოს მონატრება

დღეს უზნეობა მიღებულა თურმე კანონად,
თვალახვეული თემიდა რა ურწმუნოდ მოთქვამს...
გადუქცევია ეს ქვეყანა მონად მამონას _
რუსს _ ოსეთს სჩუქნის,
დიდ აჭარას _ ოსმალოს ხონთქარს.....
ამღვრეულია ჰარამხანა _ ტელეეთერიც,
გაშიშვლებულნი რას ლაყბობენ აღარ იციან...
აბესალომის მურმანს უზის ხარჭად ეთერი
და სიყვარული სულ ტყუილად დანაფიცია...
რას განაბულხარ საქართველოვ! ყველა მწევარი,
კბილალესილი, დღესაც შენზე დაგეშილია...
გრიგოლ ხანძთელი მიივიწყეს _ ერის მწვერვალი,
საგურამოშიც სასჯელს იხდის დიდი ილია...
სატუსაღოში ჩაუსვიათ ვაჟაც, აკაკიც,
უკვდავ რუსთაველს პატიმრობას მუდმივს უსჯიან...
არაბ ამირას გაუშლია ისევ ბანაკი
და ანჩისხატის სამრეკლოზეც ზარი მუნჯია...
ზოგ ეპისკოპოსს დოლ-გარმონით დაჰყავს იუდა,
აღმაშენებლის საფლავს ბილწავს ლოშნით უგვანო...
ერი და ბერი ეხლა ისე გადამთიელდა,
“მრავალჟამიერს” ჟამთგამრიგეს ვეღარ ვუგალობთ...
კვლავ იმარხება ყველას თვალწინ ენა ქართული,
თვალცრემლიანი იმზირება ბერი ზოსიმე...
ახლაც გვჭირდება წმინდა ნინო, ჯვარშემართული,
რომ ცის მანანამ ივერიას ისევ მოწვიმოს!..

ია ჯიათელი

წმინდა ნინოს
(გამუსლიმანებულ ქართველთა ტკივილი)

...რისთვისაც შენ გზები ჰკეცე
წაგვიშალეს ჩვენ.
რაც იმ გზებზე წმინდა ჰყავი
გვიბილწავენ ჩვენ.
რაც გვმოძღვრე და გვიქადაგე
არ ვირწმუნეთ ჩვენც.
ჩვენთა მოდგმის სიბრიყვეა,
ვგმობთ საკუთარ ღმერთს.

სული შენი, საქართველოს
დიდი წილი მზე,
ფიანდაზად დაგვიფინე,
გადავთელეთ ჩვენ.
ვარდმაც მიტომ შეგიფარა,
დღე გვეხილა ბნელთ.
ვაზის ჯვარით მირონს გვცხებდი,
კერპს ვუდგამდით გველს.

სიყრმიდანვე ვალდებულო:
დედავ, მიწავ, ცავ,
ზეთისხილის რტოვ,
თვით მტრედო,
მარადმწვანე ბზავ,
ნოეს რწმენავ, მიგვასწავლე
კვლავ იესოს გზა.

დავიკარგეთ, დავიბენით,
ვერ ვპოულობთ მხსნელს,
ჯვარს ვეღარ ვთლით ჩვენივ ხელით,
გულში ვისვამთ გველს.
მოგვეპარა, შეგვიჩვია,
ნება-ნება გვკბენს,

მალულს ზომავს ცივ თვალებით
მიწას, მისად, _ ჩვენს...

ჩვენს ვთქვი, თორემ,
შენს წილხვედრილს,
შენზედ უფლის ძღვენს,
(გააოცე თავად ღმერთი),
რომ დაგვითმე ჩვენ,
ჩვენ კი მასზე სისხლი
ვღვარეთ,
მოძმისა და ძმის,
დავივიწყეთ იესო და
დაგივიწყეთ შენ...

გაორებულთ ჩამოგვაჭრა
მტერმა მხარი ჩვენ,
გვეკრძალება პირჯვრისწერა,
“ორხატობა” გვრევს.
სული ჩადრის ჩრდილში გმინავს
გული ჯვარზე კვნესს,
ტაძარ _ მეჩეთ არეულნი,
ვეძებთ მამა ღმერთს.

დროც დაბერდა მოლოდინში,
განა ვითხოვთ ბევრს?
წმინდა ნინოვ, მოგვივლინე
სასწაული შენ,
ველოდებით აღდგომას და
მოძღვრად ტაძრის მრევლს,
მოგვევლინე ვაზის ჯვარით,
ღვთისმშობელო, ჩვენ...

ნინო წმინდავ, მე ვარ შენი
(დავრდომილი “ნანა”),
გულზე მაწევს ჯვარცმის ჯვარი
საქართველოს თანა...
დაგვიბრუნე ქრისტეს სჯული,
ტაო, ოშკი, ბანა,
გაქრისტიანებულნიც ჯვარს
ნენეს შიშით ვმალავთ...

საბრალოა, ვინც არ იცის

ისტორია თვისი,
და მით უფრო საბრალოა, ვინც იცის და
ჩქმალავს,
როგორ მინდა გამოვთალო
ძელი ძმათა ფიცის,
როგორ მინდა მოეძალოს
შვილნი ობოლ სხალთას,
მუსლიმანი ქართველები
დაგვაბრუნეთ ჯვართან...

...მე არა ვარ მუსულმანი,
ძმა ვარ ქრისტეს ძმათა,
გავიძახი დაწყვეტამდე
იოგების ხმათა,
მაგრამ ერთი ვერას გავხდი
შთაგონებით ჩემით,
თუკი ჭრელ გველს ნიღაბს ავხდი
ჯვრის გადამწერ ხელით,
ესეც შემობრუნებაა,
ქრისტესაკენ ჩვენი...

ორ ცეცხლს შუა,
ქართველ მუსლიმთ
აგვიხილეთ თვალი
წმინდა ნინოვ,
მაცხოვარო,
შვილთა შენთა მამავ,
თქვენ გაგვიხსენ
სვეტიცხოვლის
და სამების კარი,
რადგან იცით რა ძნელია,
რაც გწამს მისი მალვა.

ზურა ყოლბაია (იმიერი)

ნინოს ჯვარი

უკანასკნელი შეახმება ფოთოლი ფიფქებს,
შენს სამარესთან შეელევა წყვდიადი დილას.
მე დაგიჩოქებ, ჩემი ორთქლით გაგათბო იქნებ,
გაგათბო იქნებ, რადგან სისხამს ჯერ კიდევ სძინავს...
მეც შენთან ახლოს დავიდებ ბინას.

საოცარია იანვარში ფოთოლთა ცვენა,
ან დეკემბერში, შობის ღამეს გარდაცვალება,
ანგელოზების სამყაროში მოგელის ფრენა,
რაც არ უნახავთ, უნდა ნახონ შენმა თვალებმა _
სიკვდილისაგან განაწვალებმა.

ბოლოს დაცხრება ვნებისაგან ჩემი სხეული
და ჩემი ორთქლი, ყინვისაგან დაღლილი ორთქლი.
მე გამაცილებს ალაყაფი გადარეული,
შენ კი დაგრჩება სამარესთან დაცლილი ბოთლი
და სურნელება ყვავილის ქოთნის.

მაგრამ მე ვიცი, შენთან ახლოს ნინოს ჯვარია _
მხარდაშვებული, მოქარგული ვაზი კავებით,
შენს სამარეში, იმ შენს გულში მაცხოვარია,
დადუმებულან გულთან ახლოს შენი მკლავები,
შენი მკლავები და ვარსკვლავები.

ნუნუ კერესელიძე

ვთქვათ ხმამაღლა მამულისა

ლაჟვარდ ლალო, ზურმუხტ ლალო,
საქართველო ქვეყნის თვალო,
მთის კალთაო პირმზითისა
ვარდებს აბნევ ყირმიზისა,
სიყვარულის აკვანო.
თეთრო ოქრო, მწვანე ოქრო,
ვაზო, ვაზო ოკრო-ბოკრო,
ვერაფერმა დაგაოკოს.
ჩვენო მზეო ზესთაზნეო,
ვარძია და ზედაზენო,
შესანახო ზღაპარო.
ვთქვათ ხმამაღლა მამულისა,
ფერობა სიხარულისა,
ვთქვათ მამათა სიმაღლენი,
უძველესი სიახლენი,
მწიგნობრობის ლამპარო.
ნინოს ჯვარო, შენ გივლიდით
დიონისეს შლეგი ღვინით,
წყვილი ნებით სისხლსა ვღვრიდით
ვაზის ჯვარო შენთვის.
ლომკაცების მოდგმის სვეო,
ძალო შეუჩერებელო,
ბრძოლაში და სიყვარულში
პირველობის მჩემებელო.
მტერი ჯვრისა საყვარლისა
მტერი არის თარგვალისა,
განუხრელი ნათლის მცველო
თუ სიმღერით მოსავლელო,
მზის თვალების გასახელო,
როგორ მინდა გასახელო,
შესვი ღვინო მადლიანი,
შიგ საუფლო დარდი არის.
ბოროტება სულაც არ არს,
ამბობს ჩვენი წმინდა მამა.

სიკეთეა უკმარიო,
სინათლისკენ ცრუ კარიო,
მთა სიკეთის გადალახე
დარდი გადააბალახე.
ვთქვათ სიმღერა იმ დროისა
კაცის ღმერთზე მინდობისა,
როს ცალ-ცალკე ყველა სული
შეგნებითა იყოს სრული.
ქართლის დედა, არ შეშინდე,
თვალზე ცრემლი მოიწმინდე,
კვლავაც შევარდნებად გვზრდიდე,
ისრით მზისკენ ნასროლითა,
მით ზრდილობით საზომითა
მოიხმარდე სიყვარულსა,
დარაჯობდე სიხარულსა.
შენი ჭირის უაღრესსა
სიტყვას სცვივა ნათლის ვარჯი,
ბილწ სიტყვასთან თუ თქვით "არჩი"
ღვთის ეზოში დარჩი, დარჩი.
შენ, პირველო ანბანო,
დამარხულო დროის დენით,
კვლავ აღგადგენს უფლის ცრემლი,
გამოცხვება ობლის კვერი
განახლების ფერფლიდან.

შოთა ზოიძე

ნინო კაპადოკიელი

ნინო რამიშვილს

სადაც შენ გაივლი, სვეტი ცხოველია,
სულის უკვდავება დაუცხრომელია,
იქ ურწმუნოება უცხო ცხოველია,
ჩემი სიამაყე სვეტიცხოველია,
ჩემი უკვდავება სვეტიცხოველია!

შენ, კაპადოკიელო წმინდანო, ნინო,
როცა ურწმუნოებამ დაიდო ბინა,
უფალმა შენი თავი მომივლინა,
მე შენ მაზიარე უფლის ჯვარს და მირონს,
ჩემი უკვდავება სვეტიცხოველია!

მცხეთის ქალაქს, იქ, სადაც უფლის კვართია,
შენ შავი ღამეები თეთრად ათიე,
შენ იქ ურწმუნოება თმებით ათრიე,
ახლა იქ შენი თეთრი ათინათია,
ჩემი უკვდავება სვეტიცხოველია!

ვაგებ ეკლესიას, წმინდანის ფრესკიანს,
პირჯვარს გარდვისახავ, ვითარცა წესია,
ასე და ამრიგად ხომ უკეთესია,
კაპადოკიელო წმინდანო, მესიავ,
ჩემი უკვდავება სვეტიცხოველია!

განმანათლებელო, უფლის მეგობარო,
მინდა სულითა და ხორცით მოგებარო,
ისე მომენატრა შენი საუბარი,
ჩემი გაზაფხულის მერცხლებს დავაბარე –
ჩემი უკვდავება სვეტიცხოველია!

თამარ ლომიძე

* * *

ყოველთვის
ქარის მოტანილს ჰგავდა
ის,
რაც ჩემს სიტყვას აძლევდა სურნელს...
მე
მაინც ისევ
შენს მხრებზე ვდგავარ,
შენს სიდიადეს
სიმცირით ვუძლებ.

და ნისლებს ვწურავ ამ მაღლობიდან,
რომ შევეგუო
წვასა და დაღლას...
სისხლი რომ ცნობდეს
მტერს და მოყვარეს,
ძვლები რომ გრძნობდნენ
სამშობლოს ღალატს.

სამყაროს
ამ ცის ბილიკით შევხსნი,
მეც –
მთვარესავით მტკივა სათქმელი...
ყოველთვის
ისე დაღამდეს, ღმერთო,
თითქოს
დღე მქონდა უკანასკნელი.

ირაკლი ასლანიკაშვილი

წმინდა ნინოს

ხეთაგან კეთილთა, ნაყოფო კეთილო,
სულისა წმინდისა ჭურჭელო ზიარო,
ღვთისმშობლის კურთხევით ჩვენთვის მოვლენილო,
მოხველ და ქართველნი ქრისტეს გვაზიარე.

წარმართთა სიბნელის სინათლით მძლეველო,
მეტოქევ არმაზის, გაცის და გაიმის,
მართლმადიდებლობის აკვნის მარწეველო,
შენს მერე მრავალი დრო-ჟამი გაივლის.

მრავალჯერ გამოსცდის "მირიანს" განგება,
ბევრჯერ წაერთმევა სინათლე თვალისა,
მაგრამ დაცემული ყოველთვის აღდგება,
სანამ ჰყავს მფარველად მას ჯვარი ვაზისა!

თამილა ნიჟარაძე

წუთისოფლის მგზავრები

მისჭირდა შვება...
არგანს ვაწვდი ბინდისფერ სოფელს
და ეგ ტიალი დაუნდობლად
მტოვებს თუ ვტოვებ.

ქერეჭისფერი ცარგვალია,
ფიქრები _ ძვირი.
_ "უფალო, ეს გზა რაგვარია,
მითხარ და ვივლი!"

მყვირალობისთვე ჩამომდგარა
ჩუმი ხავილით,
აქ მოცელილა ფურ-ირემი
იქ _ კი ყვავილი.

იდარდიმანდა შავ-მერცხალამ
_ "არ ვცნობო სევდას,
მე მარტო ელდა ვიციო, ჩემო,
მარტოდენ ელდა".

წრიალებს ჭოტი, თან მომძახის:
_ "ვეღარ ივლიო!"
_ "სადღაც კვერექსი ხომ გაჟღერდა,
ვით დავიხიო?!"

_ "არ გავს სამოსი სამეუფოს,
ცოდვილის გმოსავს,
აბა, ნათელში შენ რა დაგრჩა
ეჭვების მოსავს;

წუთისოფელში უგბილი და
უფრო თავმოთნე,
გონიერ ქალწულს შენ არ გავხარ

აქეთ არ მოცდე!..”

მიკელანობენ წუთისოფლის
ბოლო მგზავრები,
არც კელაპტრები უნათებენ,
აღარც მაშხლები.

ნუთუ ბილიკი ამერია
შენსკენ უფალო,
შენი შენდობა ნუთუ არ მაქვს
ცრუს და უგვანოს...

ქერეჭისფერი ცარგვალია,
ფიქრები _ ძვირი,
თუ ეს გზა შენსკენ სავალია,
მითხარ და ვივლი!

ზოია ვაშაკიძე

მამავკეთილო

თუ წავბორძიკდე, ვითარც ჩრდილი, ჟამს გადახრისა,
შენ მომეშველე, უპყარ ყური ჩემსა ძახილსა,
გადმოიხედე ღრუბლებიდან, მამავ, კეთილო,
შენი ნუგეში, შენი სითბო გზად დამეფინოს...
სახელი შენი მინდა ჩანგით, ქნარით ვადიდო,
შეცდომებისგან სული ჩემი გთხოვ არ დაბინდო.
ვითარც კედარნი ლიბანისა მიმრავლე ლექსი,
მიმრავლე რტონი... მაძლიერე ჯიშით და ფესვით.

ირმა ქურასბედიანი

წმიდა ნინოს ჯვარი

ფარავნის ტბას არხევს ქარი,
ზეცა ათასფერადდა.
მოდის ნინო, ვაზის ჯვარით
იბერიის მხსნელადა.
მოაქვს მადლი, სულით დიადს,
მთებს მოარღვევს ეული.
“ჭირნი დიდნი” ჯვარით სძლია
ღვთის განგებისეული.
ქმნილი “ხეთა კეთილთაგან”
სულიწმიდის ქნარია,
მოდის რწმენით, იმედი კი
მაცხოვარის ჯვარია.
მოციქული, მჭევრმეტყველი,
“ჭეშმარიტად ხმობილი”
ქართლოსანთა გადამრჩენი,
ღვთისმშობელის დობილი.
მოდის, წმიდა ქალწული და
მოაქვს უფლის სანთელი,
ელის მიწა ქართული და
უკვდავების ნათელი.
ვაზის ჯვარის, თმებით წნულის
ბრწყინვალება ციური,
მართლის რწმენით, კერპთა მსხვრევა
მართლაც იბერიული.
განამტკიცა ჭეშმარიტად,
უსასრულო ნათელი.
“სახელითა უფლისათა”
ნეტარ იყოს ქართველი.

ავთანდილ ივანიძე

ღმერთო!

მოლოდინი
უყვარს ერთობ,
ვინც ცასა და მიწას ზვერავს.
ნუ მოაკლებ
იმედს, ღმერთო,
გზას მიპყრობილ ბავშვის მზერას.

გული იტევს
ცეცხლს და ღადარს...
არ ელევათ სითბო დედებს,
ვისაც მწუხრით
დაუღამდა,
სიხარულით გაუთენდეს.

დარდს, რომლითაც
გული გვეწვის,
ვატანთ ხოლმე ცრემლის წვეთებს.
სატკივარი
ჩვენ მოგვეცი, _
ბავშვის გულს ნუ გაიმეტებ.

მამულისთვის
ვიყოთ სარჩო, _
მსხვერპლი, მამულს უჭირს როცა...
იმ კაცს ღმერთმა
გაუმარჯოს,
ვინც მომავალს დაგვილოცავს!

ნათია გრიგალაშვილი

* * *

,,მოირბინენ ყოველნი კიდენი ქართლისანი
და ყველგან მოსრნენ კერპთა ნაკვალევი”.
თანამოსაგრეა – სინათლე გზა ხსნისანი,
შვების მომლოდინე _ სული ნაწვალები.
ჯავახეთს მოჯარულა ფიქრები ცისხელა,
ფარავნის ტბასა ზედა ცა მიწას დასტირის,
ურბნისში ხის ტოტი სინაზით ირხევა,
სხვა მზერა იმსჭვალვის, სხვა გზა და ნაპირი.
უხვად მოირკალა სულის ფარდაგები,
ვაზის ჯვარით ხელში რწმენა შემოიწნა,
ნინო მოდიოდა წმინდა ქადაგებით,
განმანათლებელი საქართველოისა!..

მიხეილ სიჭინავა

* * *

ვ-იყვარებოდეთ ურთიერთს, ვიყოთ მორჩილნი ღვთისა,
ი-ესოს ვებარებოდეთ, გვფარავდეს დედა ღვთისა,
ყ-ოველსა ჰქონდეს იმედი, რწმენაი მაღალ ღვთისა,
ვ-ერას დაგვაკლებს ბოროტი, გულით რომ ვიყოთ ღვთისა,
ა-მაღლდეს ჩვენში რწმენაი, შევიცნოთ სწავლა ღვთისა,
რ-ჩეულნი ვიყოთ რწმენითა, დავითიანნი ღვთისა,
ე-რთარსი სამების მადლის, ღირსი შევიქმნათ ღვთისა,
ბ-ევრი სხვა არა მწადიან, ქართველნი ვიყოთ ღვთისა,
ო-ჩამჩირეის მოქვეში მუხლ მოვიდრიკოთ ღვთისა,
დ-ვალეთის ნუზალს გუმბათზე რეკდეს ზარები ღვთისა,

ე-რთიანობა ქვეყნისა ხელით მოგვეცეს ღვთისა,
თ-აბორზე ფერი გვეცვალოს, გზად ჯვარი ვზიდოთ ღვთისა.

უ-რთიერთს სიკეთე ვუყოთ, წყალობა გვქონდეს ღვთისა,
რ-ოს ერთურთს მხარში დავუდგეთ, ვმადლობდეთ მაღალ ღვთისა,
თ-ვის სიყვარულის გრძნობითა, ვყვარობდეთ მოყვასს – ღვთისა,
ი-ს იყოს ჩვენი მარჯვობა, მორჩილნი ვიყოთ ღვთისა,
ე-რთობით ვიყოთ მტკიცენი, ესრეთ ვადიდოთ ღვთისა,
რ-წმენა და ერთსულოვნება, მარადა გვქონდეს ღვთისა,
თ-ავი შევსწიროთ უფალსა, გორგასლიანმა ღვთისა,
ა-მქვეყნად მადლი მოვისხათ, შვილებმა მამა ღვთისა,
რ-ად გაგვაჩინა უფალმა? გულით ვიწამოთ ღვთისა,
ს-აუკუნოსა სიცოცხლის ღირსი შევიქმნათ ღვთისა.

ზაქარია ზედგინიძე

ჯვარი ვაზისა

ჯვარი ვაზისა,
მადლი ხატისა,
ლოცვა-კურთხევა სვეტიცხოვლისა!
ბრძენი გონითა,
ძმათა ცნობითა
განსპეტაკება ქვეყნად ყოვლისა!
გამრჯე შრომითა,
ღვთის შეწევნითა,
მამულ-დედულის ტრფობით მოვლისა!
სიხარულითა,
სიყვარულითა
შევძლოთ დაძლევა სიძულვილისა!
ნება უფლისა,
ღვთიურ უღლისა,
დროის სიმუხთლის გარდავლენისა.
წრფელი გულითა,
წმინდა სულითა
შუბლზე მალამოდ მირონცხებისა.

ცისა ფერითა,
ღვთისა მზერითა,
თყვანისცემა ნათელ-გზებისა.
ცვარი ზეცისა, პური კეცისა,
ნაშრომ-ნაღვაწი ხარის ქედისა.
დაცვა წესისა,
ხვნა და თესვისა,
ჩვენი სისხლის და ჩვენი ფესვისა.
დედა ენისა
მზისკენ ფრენისა,
საღმრთო ჰანგების ციდან დენისა,
ცეცხლი კერისა
ქართველთ ერისა,
აღდგენისა და ამაღლებისა!

გივი გოგნაძე

მოქცევა

აჰა გამოჩნდა სვეტი ნათლისა _
შვიდ წილად მზისა უბრწყინვალესი...
აჰა იხილეთ, უფლის მადლითა,
ჟამი დაგვიდგა უნეტარესი.

დგანან ქართველნი ქედდადრეკილნი
და ღაღადებენ უფლის დიდებას.
განგების ძალო, ძალო კეთილო,
შენის წყალობით ქართლი ბრწყინდება.

თაყვანებანი რვალის კერპთანი
ქრისტეს სიყვარულს გადუწონია...
ღმერთს ადიდებენ, კურნენ კეთროვნებს,
ნეტარი ნინო და სიდონია.

უფალს ადიდებს, წყალობას ითხოვს,
ქრისტეს მორწმუნე მთელი ლაშქარი.

ამის მჭვრეტელი ნეტარებს ნინო
და ფხოვს და ჭართალს წასვლას იჩქარის.

და აურაცხელ სასწაულს ახდენს
ჯვარი ღვთიური ცეცხლის მთოველი.
მისი, ზეგარდმო, ნათელი მადგეს,
არ ვარ ამ ქვეყნად მეტის მთხოველი.

ცამდე ელვარებს სვეტი ნათლისა,
შვიდ წილად მზისა უბრწყინვალესი...
აჰა იხარეთ, უფლის მადლითა,
ჟამი დაგვიდგა უნეტარესი.…

ანა წერეთელი

ზედაზნიდან

რწმენის რაშით
მოფრინავდა
მოლიპულზე,
ყინვა-ქარში,
ასურეთის
ტურფა ვარდი
ლეგენდების
ქვეყანაში.
მსუბუქობდა
მრუმე ღამეც,
მიდიოდა
მარტოდ გზაზე,
არცა ხმალი,
არცა შუბი.
მაშ, რა გაკანკალებს
ზადენ?!
შენც გაიამ
ძმებთან ერთად,
შეგარყია შფოთვის

ფესვმა,
ზედაზნიდან
მინავლული,
თქვენი კვნესა
შემომესმა...
რით დაემხვეთ
,,უძლეველნი”
ვინ მოგარგოთ
რისხვის მსჯავრი,
თქვენ წინ,
ნორჩი ქალი იდგა,
თმით შეკრული
ვაზის ჯვარით...

მზია ოდიაშვილი

შენ რომ არა, ვინ გვამცნობდა ნამდვილ რწმენას

ფეხშიშველამ გადმოლახე შორი გზები
და ნაზ ტერფებს გისერავდა ბასრი ქვები,
უფლის რწმენით მიიკვლევდი უცხო ფერდობს,
ვაზის რტოზე მოხვეული გრძელი თმებით.
უსასრულოდ გაიჭიმა ლურჯი სივრცე,
გაბრკოლებდა სიცივე და მწველი სიცხე,
არ დანებდი, არ შეშინდი მძიმე წამით,
გზას იკვლევდი ხან დღისით და ხანაც ღამით.
ქარი ურცხვად გიკოცნიდა სხეულს დაღლილს,
ხანაც გგლეჯდა მთელი ძალით რძისფერ მანდილს,
როგორც იყო, მიაღწიე ნატრულ ადგილს,
მაყვლის ბუჩქთან ჩაგეძინა მძიმედ დაღლილს.
თითქოს ჩუმი ფიქრებიდან წარსულს ვხედავ,
უღრუბლო ცას როგორ ეკვრის მძიმე ნისლი,
ჩამობნელდა, ისე ძლიერ ჩამობნელდა,
წარმოსახვაც კი მაშინებს უკვე მისი.
აირია სულში ფიქრთაAხვეულები
შენ რომ არა, ვინ გვამცნობდა ნამდვილ რწმენას,

შენ რომ არა, დავრჩებოდით წარმართებად,
ანდა როგორ შევიძლებდით გადარჩენას.
ბრაზიანად აბრიალებს კერპი თვალებს,
მაგრამ ახლა ვერ დაგვაკლებს ვეღარაფერს,
სანამ ჩვენში ერთი ძირი ვაზი ხარობს,
გულში რწმენას ვერაფერი ვერ დაადნობს.

ბესარიონ ქვრივიშვილი

თოვლი დნებოდეს, თაფლი რჩებოდეს...

დღეები როგორც თეთრი ფიფქები,
ხოლო ცხოვრება მოსვლაა თოვლის,
სიყვარულია სიცოცხლის არსი,
წუთისოფელი _ დრო მისი პოვნის.

ცვივა ფიფქები სულის მდელოზე,
ბავშვმა აღვმართე თოვლის ბაბუა,
გუდა გავავსე ცოდვით და მადლით
ცას გაფრინდება ჩიტი ღაბუა.

მზე მარადისი მოჰყვება რიჟრაჟს,
ვემშვიდობები ნახშირის თვალებს,
მინდა იხაროს ვარდმა ედემში,
გაზაფხულს ვვედრი დაგროვილ ვალებს.

სხივები ვიდრე მოსწყვეტენ ფანტელს,
ღმერთს ვესავ გულში აღმინთოს რწმენა,
ჩვილი შემოქმედს ტიტინით შევთხოვ:
“დუმილისათვის მომმადლე ენა”.

რადგან მე, თუმცა, წავბილწე თოვლი,
მომეცი ძალა შენი მჯეროდეს,
იმედის ფრთებით შემკული სული,
ცოდვის უფსკრულშიც ისევ მღეროდეს.

მოვიმუშაკო და მივეწიო,
ერთ წვეთ სიყვარულს, _ გოლეულს თაფლის,
მარადისობის მწვერვალს ვუმზირო,
დრო აღარ დამრჩეს ტალანტთა დაფლვის...

თინათინ ალადაშვილი

აღდგომა!

ღმერთო, მაღალო! რა გიგალობო?! ან რა შეგკადრო?!
კალამს არ ძალუძს დაგიწეროს წმინდა სიტყვები...
ლოცვა ერთია, მე კი დღესაც მინდა შეგვედრო:
ჩემს ბილწ გონებას მოაშორე შავი ნისლები!..

ადამიანებს ტანჯვად გვყოფნის სულ მცირე წყენა...
ქრისტე კი როგორ ეწამა ჩვენთვის ვერ აღწერს ენა...
სულ მცირე დარდი როგორ გვიკარგავს ჩვენ უფლის რწმენას...
იესოს ტანჯვა... იესოს ტანჯვა... გახსოვდეთ ყველას!..

ღმერთო, მაღალო, ჩემი ლოცვა დღეს მცირედია,
რომელზეც მინდა ავაშენო წმინდა ტაძარი...
ალბათ არასდროს განმეორდება ის ტრაგედია...
ქვეყნად ხომ მისი მსგავსი ტანჯვა არ არის?!

მე გული მტკივა რომ მახსენდება ეკლის გვირგვინი
და გოლგოთისკენ მიმავალი იესო ქრისტე...
ის დამცირება... შეურაცხყოფა... და ის ტკივილი...
სუნთქვა მეკვრის და მიკვირს ეს გული ისევ რომ მიცემს...

მე ბევრჯერ მითქვამს: უსამართლოა ჩვენი ცხოვრება...
ამდენ განსაცდელს ყოველ ნაბიჯზე რად გვივლენს ღმერთი?!
და იმ წუთებში მე უგუნურს არ მაგონდება...
არ მაგონდება ის მთავარი... ის ერთადერთი...

ამ ქვეყანაზე თუკი რამე სრულყოფილია,
ეს ღვთის სულია შემოქმედად შესული ჩვენში

და საყვედურის ნაცვლად უნდა მას ვუმადლოდეთ,
რომ სასწაული კიდევ ხდება დღეს ქართველ ერში!..

ღმერთო, მაღალო, ჩემი ლოცვა დღეს მცირედია,
რადგან მომყვება წარსულიდან ცოდვა მრავალი...
ქრისტეს ტანჯვასთან ჩვენი ტკივილი რა სათქმელია?!
სხვა ტანჯვა ქვეყნად მისი მსგავსი არსად არ არის!..

ამდენ საყვედურს და ამდენ ჩივილს სჯობს გავიაზროთ,
რომ ეს ტკივილი დღეს ჩვენს თავზე საზღაურია...
ყველაზე დიდი უსამართლო საქციელისთვის,
რაც კი ოდესღაც ჩვენს წინაპრებს ჩაუდენიათ...

ყველაზე დიდი უსამართლობა ხომ ჯვარცმა იყო...
ღმერთმა გაიმეტა ჩვენი ხსნისათვის ერთადერთი ძე...
ჩვენ კი ვერ მივხვდით, ვერ შევიცანით მართლა ვინ იყო...
ქვეყნად მოსული... ღვთის მესია... იესო ქრისტე!..

ამხელა მსხვერპლი გაღებული ღვთისაგან ჩვენთვის
ალბათ ვიღაცას ეჩვენება ძალიან ცოტა...
რადგან არა გვსურს საპასუხოდ თუნდაც მცირედი
გავიღოთ ხოლმე და ხატის წინ წარმოვთქვათ ლოცვა...

დღეს ყოველ ჩვენგანს სინანული და ცრემლი მართებს...
შორიდან მესმის ანგელოზთა უსიტყვო გლოვა...
როგორ შევხედავთ ჩვენ მის თვალებს?! რა პასუხს გავცემთ?!
მაცხოვარს, მაშინ, კიდევ ერთხელ რომ ჩვენთან მოვა?!

შორენა ჩახნაშვილი

ამაღლება

შენივთებია ქვეყნად ერთურთს ბნელი _ ნათელი,
ცოდვა და მადლი, სიძულვილი და სიყვარული,
ბრმა ერთობაა უსასრულო სამყარო, ვრცელი
და წუთისოფლის დაურვება, _ კაცთა წყურვილი!
არ ჩანს მოყვასი? _ და ამისთვის გიყვარდეს მტერიც,

რომ არ დაკარგო სიყვარული, სულის სამთელი!
გიყვარდეს მტერი! მოეპყარი კაცთაგანს ისე,
მოეპყრობოდი ვით მომაკვდავს, მიზიდულს ცისკენ
ბოლო წუთი რომ დარჩენია ქვეყნად, საცოდავს,
და მას თუ უმტრობ, უუმძიმესს დაიდებ ცოდვას!
სიბრალული და თანაგრძნობა შუღლს დაგავიწყებს,
საალერსოდ და სანუგეშოდ გული გაგიწევს.
მოეკიდები თუკი ასე კაცთაგანს, ყოველს,
ყოველ მათგანში მტრის სანაცვლოდ ძმას მოიპოვებ!
ნუღარ გადასდებ სიკეთის ქმნას, თუნდ, სახვალიოდ,
რა იცი, კვალად, შენი თვალი ნახავს ალიონს?
სჯობს დაეშურო, გაუფრთხილდე სიდიდეს წუთის,
ღვთით ნაბოძები მახვილი რომ არ გაგიცუდდეს!
და მოიბნევა შენი გზები კეთილი თესლით,
ამოვარდება ძირიანად მტრობა და გესლი.
შენში სიყვარულს დაედება ბინა მარადი,
მტერიც მოყვარედ გაგიხდება ყოფის კარამდი!
აყვავილდება დედამიწა, ნათლის მპოვნელი,
ეზიარება უკვდავებას წუთისოფელი.

ვახტანგ მელიქიძე

მოციქულთა სწორს წმინდა ნინოს

როცა ქვეყნად:
შუკებსა თუ
სახლთა შინა,
ჩაუქრობლად
წარმართობის
ცეცხლი წვიმდა,
მარიამის წილხვედრ
მხარეს,
წმინდა მიწას
ღვთის მმოსავი
წმინდა ნინო

მოევლინა!
ნინო ერქვა, როცა მიწას
ქართლოსისას
ფეხშიშველამ ფეხი
კრძალვით დააბიჯა,
შემდეგ საქმით, დიდი საქმით
რაც მან იქმნა,
“წმინდა ნინო” შეუწონა
ერმა სხივმნათს!

.....
მის ჯვარს იცავდა
ქვეყანა ოდით,
წმინდა ქალწულის
ხელით ბოძებულს.
ასე იარა ერმა აქამდე,
მოციქულთ სწორო,
შენის კურთხევით,
საქრისტიანოს ქართულ მიწაზე
სახება შენი დარჩა მარადის!

.....
რა ბევრს მავალებს,
რომ ვარ ქართველი,
და ენას ჩემსას
ჰქვია ქართული,
არ შემიცვლია
გვარი-სახელი,
ისევ აქა მაქვს
მიწა-მამული!
შენ გიძევს წილი,
შენ, ღვთის მოციქულს,
უფლის მცნებათა
ჰანგზე რომ გვზრდიდი,
აკვანში მწოლს თუ
ზრდასრულ მოწიფულს
იმ ათი მცნების,
იმ ათი სიბრძნის
ჰქონოდა მუდამ
კრძალვა და რიდი!

გივი ილურიძე

მოციქულთა სწორის
ვერბალური ხატი აღაიანში

ახედა ცას **ნინომ** და თქვა: “მილხინე”.
და შერჩა წყაროსთავსა ამას, _ სახელად _ “მილხინე”.

მღეროდა რუნი:
“დელოვ, რანუნი!”
გიმწვანდა მდელო,
მიწავ, გამდელო!

ღვთის დღეა, მნათი
“ქრისტე აღდგათი”, _
ნაზამთრალ გულებს
აგაზაფხულებს;

დიაცის იერს, _
დია _ ცისიერს,
აქნარებს ზეცა
ბაღნარებზეცა.

ბაღნართა ალი, _
მთაბართ გრაალი,
მოწამედ ყველა
(დროც) ამეტყველა.

ჯვარ-ვაზიანი,
არმაზიანი
დალოცა ერი,
კალოც... ჰაერი!

და ჰა, იანიც
აღაიანი _
თვალსა ჰყვა ბჭენით,

გადასარჩენით!

ეთქვა იქ, **ნინოს, _**
“ღმერთმა გვილხინოს!”
(ამინდია და
ხმამ იდიადა):

“_ ცალსახად ღირსნო,
ცათ საკადრისნო!
მზე გაგვისამა
დედა-ღვთისამა!

მაღლით მყოფი მწამს,
დაგითბობთ მიწას,
_ დაიშვეს უნდა!
_ აი, შესრულდა! _

მკვიდრად ინება
თვითდადგინება
და როგორც გვინდა, _
წამოღორძინდა!

გაბრწყინდეს ნება
(გზანიც გვეხსნება), _
მოძღვარი გვყავდეს,
ლოცვა გვიყვარდეს!..

გათენდა ბინდი,
ნათელ, დადგინდი,
_ გვამყოფე თმენით,
მადლო **ბეთლემით!**

_ ვიხილე ია
(“მილხინეია”)! _
სახელიც ღირსად
ვსახე მიწისად.

ინებოს **ზენამ**
ივერთ მოსმენა
(აღმართულთ? _ არა), _
მდაბალთ მუდარა:

_ **უფალო,** გვიხსენ,
ურვა მოგვიხსენ...
გვიღიმე დედა,
მილხინეზედა! _

უხდება შენი
ბუდე-ნაშენი
(მრწამსი ჰყვა ბუდეს),
_ გასიყვარულდეს!

.....
_ მე, წმიდა ქნარმან,
ზეცით გამთბარმან,
მოყვასი ვნათლე,
მომყვა სიმართლე!

მით დავთმე თავი
მზით გამხედავი, _
ქვეყანავ, _ ისე
გემარადისე!”

მაია ტყემალაძე

ჟამგრძელი ჰყავი!

უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს

მზედ აზიდულა ცვილად ნატიფი, ოქროცურვილი,
თითქო ფრთები აქვს ქერუბიმთა და სერაფიმთა,
უცქერ, გწყურია მუხლმოდრეკა, წრფელი სურვილი,
ჰმადლობდე უფალს, ლოცდე ტაძრის აღმშენებელთა,
როს შეჭირვების ჟამს მოგვმადლეს ეს საოცრება,
ქვეყნის წარსულის, მომავლის და აწმყოს მშვენება,
ერი, რომელმან აღაშენა წმიდა სამება,
არ მოიშთობა, არასოდეს გადაშენდება!
მტერს მახვილს ჩასცემს, მოკეთის სულს ესალბუნება,

მის სიდიადეს ვერ გადმოსცემს კაცის გონება,
ღვთიურ გუმბათქვეშ გრძნობ მიწიერ ამაოებას
და, რომ არ ძალუძს ორთა უფალთა არვის მონება.
ცის სილაჟვარდეც დაჰფოფინებს კდემას ტაძრისას,
გული ფორთქინებს აღტაცებით, ფიქრი მზიანობს,
ათასწლეულის გარიჟრაჟზე ეს რა გვეღირსა!
ცოდვა მორეულ ერის სულში რწმენა ციაგობს,
რომ აღზევდება, გაბრწყინდება კვლავ იბერია,
მოშხამულ წალკოტს ჩუმ ცრემლს მოსწმენდს
თავად უფალი,
კურთხეულ მიწას როს ღვთისმშობლის მადლი ჰფენია,
ვერ დაგვაჩოქებს გულბოროტი მტერი, მუხთალი.
მწედ დგას ტაძარი ელიას მთას მზესხივოსანი,
დაჰფენს იერი ცისიერი _ ღირს დედოფლური,
გარდივლის ჟამი, უგალობენ რწმენით მგოსანნი,
დარდს განინელებს ჭირთამთმენი ერი მეფური,
და გარდიქცევა უფლის სისხლ-ხორცთა თანაზიარი,
კვლავაც გვექნება საკუთარი აზრი... მზე... პური...
ახლა რომ შუღლის, გულცივობის არენა არი,
კვლავ გამრავლდება მადლი ღვთისა
ცვარად ნაპკური...
“ავტოპორტრეტი შექმნა ერმა!” _ ბრძანებს ნეტარი...
კელაპტრად იქცა მამა-პაპის ანთილი კვარი,
ყოველ ალიონს ფართოდ იღება აღსავლის კარი,
სუნთქავს სამება, ახალშობილს უგალობს მტკვარი.
გუგუნებს ზარი საგოდებელს, ხან საიმედოს,
ალავერდს, ბაგრატს, სვეტიცხოველს ჰფენს
ხმატკბილ ექოს,
წყაროს ნაკადად მრევლი რწმენით მიჰყვება ბექობს,
სად ღმრთისეული სიყვარული რონინებს, მეფობს.
საკურთხეველში დგას ნეტარი, უსპეტაკესი
და “მეუფეო ზეცათაო...” შეჰვედრის ხატებს,
ღვივის, ცად ილტვის ოქრო-მარცვალი მისგან ნათესი,
რუდუნებს სამწყსო: “უფალი სუფევს ერში,
კვლავ სუფევს!”
ღმერთო, განრიდე იბერიას ავი ტაროსი!
აღარ გვენახოს დიდოსტატი მკლავმოკვეთილი,
ჟამგრძელი ჰყავი უწმინდესი და უნეტარესი
ღვთისგან რჩეული ერის მამა _ მწყემსი კეთილი...
ახლა წირვაა, დადუმდება ღამით ტაძარი,
უფლისეული დაეუფლება არეს სიმშვიდე,
ამბიონს ჩოქვით მიეახლება დავით, თამარი

და სასოებით აღმოხდებათ: “კვლავ რწმენით ვლიდე!
ერო ტანჯულო, მამულო ტკბილო,
ღვთის რწმენით ვლიდე!”

ირაკლი გველებიანი

ჩემი ცხოვრება

წუთისოფელში დავეხეტები
შემოხეული შავი ძაძებით,
ჩამომჭკნობია ცოდვით სხეული,
რომელშიც წვალობს სული ვნებებით.

შემომახიეს სულის აფრები
ამა სოფლისა ქარტეხილებით,
შემომაცალეს გარს მეგობრები,
სიყვარული და ტკბილი შვილები.

ამ დაფლეთილი ჩემი ცხოვრებით
ვდგავარ შიშველი, ეულად ვკვდები,
ღმერთო მომეცი უძლურს ძალები,
შენსკენ საფრენად სიკეთის ფრთები.

ლია ჭაბაშვილი

წმინდა ნინო!

კაბადოკიიდან, ქალწული ნინო,
როგორც ანგელოზი, წმინდა სერაბიმი,
ცოდვილ საქართველოს მხსნელად მოევლინა,
კერპები დაამსხვრია, ქრისტე დაამკვიდრა.
წმინდა ნინო!

გზა განვლო უდაბური, მტანჯველი, მტკივნეული,
ღმერთის შემწეობით ჩვენამდე მოაღწია,
განკურნა, ნათელი სცა, მკვდარი გააცოცხლა,
ჭეშმარიტ მოძღვრებას ერი აზიარა.
წმინდა ნინო!
ღვთის მადლი მოჰფინა, ბნელეთი გაანათა,
სულები გააცოცხლა, უფალთან აზიარა,
საწყისს მარადიულს, სიმტკიცე შთაბერა _
ერის უკვდავებას ფუძე ჩაუყარა.
წმინდა ნინო!
თმები შეიკვეცა, შეკრა ვაზის ჯვარი,
ქართველ ხალხის სულში, სულის ხსნად შთანერგა,
დღემდე მოაღწია, ქართველი-ქრისტიანი,
გულის გულის გულში, ფაქიზად ევლება.
წმინდა ნინო!

მირიან ზალოშვილი

მე მუხლმოყრილი ტაძარში ვდგავარ...

გზას ქართლისაკენ სომხეთის გავლით
გიმსუბუქებდა შენ უფლის მადლი,
მოაბიჯებდი ამაყად, მთებით,
ჯვარი ვაზისა მოგქონდა დაღლილს.

ღვთის კარნახით კი იქ დაივანე
სადაც დედა მტკვარს არაგვი ერთვის,
ასე ინება განგებამ ალბათ _
იქ შეარჩიე ადგილი შენთვის.

დედა ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე
შენ გვაზიარე უწმინდეს გრძნობას _
სკეპტიკოსი კი ირიბად გვიმზერს,
ქრისტეს მოძღვრებას იჭვებით ზომავს.

ძლივს დავამსხვრიე კერპები არმაზს,

დღემდე მემდურის გაიმ და გაეც,
(ჩემს წინაპრებს კი სჯეროდათ მათი)
უფალთან ახლოს ვერ მოვლენ მაინც.

ათას შვიდასი წელია გვმოძღვრავს
ბოდბიდან შენი სიწმინდის ძალა,
ქართველმა ერმა წმინდანად გიცნო
კაპადოკიას ნაშობი _ ქალად.

დღეს კიდევ ერთხელ, როგორც რომ უწინ,
ერის დალოცვას კვლავ ველით შენგან,
ერთსულოვნება დავკარგეთ თითქმის,
საერთო საქმეს ვაკეთებთ ვეღარ...

მე მუხლმოყრილი ჩემს ერს გავედრებ,
სვეტიცხოველში, ანჩისხატს, სიონს,
ვადიდებ უფალს, დედა ღვთისმშობელს,
განმანათლებელ ჩვენს წმინდა ნინოს...

მამუკა დემეტრაშვილი

უფლის ქალაქი

„როცა ერთ ქალაქში დევნას დაგიწყებენ, მეორისაკენ გაიქეცით“
მათე 10, 23

სულის უდაბნო ბედით ნალაქი,
გულში ეკლად როს მყარად ისობა,
მე მანუგეშებს უფლის ქალაქი,
სულის სიცოცხლის მარადისობა.

სულო, რომელიც ვიწრო ბილიკებს
შეეზარდე და გჩაგრეს იოლად,
შენ სიხალასე გაგიქილიკეს
და მიგიჩნიეს აგრესიულად.

სპეტაკ ღირსების ცილით შებღალვა
გსპობდა, როდესაც ჭარმაგ არ იყავ,
ბევრჯერ სიმწრისგან გსურდა გებღავლა
წლებზე, რომლებიც ქარმა გარიყა.

მიმოაბნევდა ქარი ქრიზანთემთ
გულგაყინულთა მამაც ხროვაში,
შენ რომ ჯვარცმისგან გასვლა იზანტე,
ლექსმა ვეღარც მე დამაცხრო ვაშით.

მემატიანემ ვერსად არეკლა,
ბედის მკვლელობებს როდის იდენდი,
წუთისოფელმა გულში ნარ-ეკლად,
შემოგისია ჯგროდ დისიდენტი.

შენ ჭვრეტ ჭეშმარიტს და ვერც ამ არხით,
ვერ შეუბორკავს ვანგა მონას კვალს,
მონას ცოდვა შობს გულში ნამარხი,
ბედის მარყუჟიც მან გამონასკვა.

ბედი ხშირად ჰგავს მდევარ მოსისხლეს,
როგორც – შურისგან ბრმა სალიერი,
მდაბლად ღვთის სათნო სასტიკ დროს ისხლეტს,
სწამს რა უდაბნოს დასალიერი.

სულის უდაბნო ბედით ნალაქი,
გულში ეკლად როს ღვარად ისობა,
მე მანუგეშებს უფლის ქალაქის
თავისუფლების მარადისობა.

დავით კიკვაძე

ფრთოსან პოეზიას შევასხდეთ ფრთებზე

ახალ მუსიკას ქმნის ეს კლავიში,
აღტაცებაში მას სული მოჰყავს.
გოდების კედელთან _ იერუსალიმში
წმინდა ცრემლები დასერავს ლოყას.

ციური სივრცის მცინარე ლიცლიცს
ვაკვირდები და ყოველი მხიბლავს
და სეზონურად სამოსელს იცვლის
ბუნება, რომელსაც თვის სულში იკრავს
ზეცა, რომელსაც ფარავს თოვლისფრად
სქელი ღრუბლები ქათქათა, ქულა.
ლამაზი ლოცვა ჰკოცნის ლანდს...
მარადისობა რომ ანთებულა _
იქით მიიწევს სულის სავანე
იქ გაეყრება მტანჯველ სიმძიმეს.
სასმელივით ვსვამ იასამანებს...
მწვანე ნაძვებზე თოვლი იძინებს –
დედოფალივით ქალწულ ზამთარში
და ზამთრის ბოლოს ისევ იწვიმებს.
დავეხეტები ქარში _ ქალაქში
და ვარსკვლავივით მუზა ციმციმებს.
ლოცვა, გალობა, რეკვა ზარების
მიაქვს ანგელოზს... მიწა ქვიანი
მოელის ამინდს გამოდარების,
ირგვლივ შრიალებს მხარე ტყიანი.
მტრედები წამლით კურნავენ ნეკნებს,
ნეკნებს დამტვრეულს, ტანზე შერჩენილს.
ნახევრად წაშლილ დაბზარულ ფრესკებს,
ისევ ამშვენებს ფუნჯით ფერმწერი.
ქართულ ენაზე რაკრაკრებს წყარო...
სოფლის წისქვილთან იფრქვევა ფქვილი
და მდელოებზე გვირილა ხარობს,
ვკრებ უთავბოლოდ და ყოველ დილით
სხდებიან თეთრად ნისლები მთებზე.
მსურს ბულბულების სტვენას ვისმენდე.
ფრთოსან პოეზიას შევასხდეთ ფრთებზე
და იგი ფრენით მიგვიყვანს ქრისტემდე...

ნანა ღვინეფაძე

კიჟინი საქართველოდან
ბუკის თანხლებით

მე ქართლიდან
გიკიჟინებთ
ერთი მწირი
ბერდედა! _
უცხოელი უცხოეთში
უფრო ადრე
ბერდება!..
მოგზაური
დაბრუნდება, _
მზეც ჩავა და ამოვა, _
საქართველო დაილევა
ვაზი აღარ ამოვა!..
გაიხსენეთ წმინდა ნინოს
კვალი და ჯვარნათელი,
დავიწყებას რომ არ
მივცეთ
რთველიცა და
ქართველიც!
ვეღარავინ დააცხობს
ქადა-ნაზუქს
საშობოს, _
მერცხლებივით
დაუბრუნდით
დამწუხრებულ
სამშობლოს!..
თორემ ისევ
გადაგვივლის
ჩრდილოეთის ურდო!..
ყველა მტერზე
მეტი მტერი, _
ყველა მტერზე
უნდო!..

.....
ამიტომაც გიკიჟინებთ,
რომ დაბრუნდეს
ქუდზე კაცი!
იქნებ ჩემი
წინათგრძნობა
მოგეჩვენოთ
ძალზე მკაცრი!..
აქ იხარეთ,
იმიჯნურეთ,
დე, იმრავლოს ქართველმა!
თვალი მოსჭრას
მტერს და ორგულს
საქართველოს
ნათელმა!

მიმოზა ჩარგაზია

წმინდაო ნინო

წმინდაო ნინო!
ევედრე ღმერთსა
კვლავ შეწყალებად სულთა ჩვენთათვის;
მეოხ გვეყავი
წინაშე უფლის,
რადგან ვირხევით ვითარც ლერწამნი.
აღგვინთე გულში
ძლიერი გრძნობა,
ამქვეყნად მხოლოდ სიკეთეს ვთესდეთ.
არს საზღაური
უცილოდ დიდი,
იმათი, ვინაც უფალსა ესვენ.
შენ გაგვანათლე,
აწც გვიწინამძღვრე,
უფლის კარამდე, დაო, წმინდაო!

ორსავ სოფელსა
გვფარვიდეს უძლურთ,
შენს მეოხებით ძალი ღვთისაო!
წმინდაო ნინო!
შენ გაგვანათლე,
შეგთხოვ განსაცდელს არიდო ერი,
გზას გვინათებდეს
ჯვარი ვაზისა,
ჯვარი, შენს მიერ შეკრული თმებით.
შეგთხოვ წმინდაო,
გაუძეხ ქართველს,
მომავლის გზებზე ვით ნათლის სვეტი,
ჩაქრება? _ ისევ
აღინთოს, ენთოს,
ჩვენში ღვთივსათნოდ სანთელი ბევრი!

მამა ბენიამენი (ჩიხორლიშვილი)

მიწყალე...

მე ვარ ცოდვილი და მიწყალე, უფალო ჩემო,
დრო-ჟამი მიჰქრის.... უფრო მეტად ცოდვილი ვხდები...
ჭეშმარიტების მსურს ჩავუწვდე აზრსა და გემოს,
ვზიდავ მძიმე ჯვარს და განსაცდელთ, დაღლილი მხრებით.

შემინდე ღმერთო, ბევრეულნი ცოდვანი ჩემნი,
მომეც სიმდაბლე, მოთმინება და სათნოება.
წარსდევნე ჩემგან სიამაყე, ბოროტის მჩენი,
და განმაშორე ამა სოფლის ამაოებას.

მწყემსი ვარ კაცთა, ბოლო ჟამის და ნუ გამკიცხავ,
შენს საკადრისად თუ ვერ დავშვერ, ვერ შეგიყვარე.
შიშით და ძრწოლით ველოდები შენს დიდ განკითხვას,
ქედდადრეკილი, მარტოსული, შენ შემიწყნარე.

ბესიკ გოგილავა

ამინ!

ცის კიდიდან გამობრწყინდა, მთვარის შუქი ნათელი,
წმინდა ნინოს ხატთან ელავს, ჩუმად იწვის სანთელი.
ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად! ჩამოჰკრავენ ზარები,
სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში, ისმის ლოცვა ქართველის...
სულიწმინდის მადლით სავსე რწმენა დაჰქრის ღრუბლებში,
დაიფარავს, ჩასახლდება ცოდვით სავსე სულებში.
უფლის მადლი გადაგვირჩენს ბოროტისგან სამშობლოს
და ტანჯული ჩვენი ხალხი ღმერთმა მარად აცოცხლოს!
მტრედთა გუნდი გადაუფრენს მშვიდ და ნათელ წმინდა ცას
და დალოცავს ღვთის კურთხეულ, ჩვენს მშობლიურ მიწა-წყალს.
ცის კიდიდან გამობრწყინდა, მთვარის შუქი ნათელი,
წმინდა ნინოს ხატთან ელავს, ჩუმად იწვის სანთელი.

სარჩევი

ვანო ჩხიკვაძე
მაია მიქაია
ლელა ცუცქირიძე
მურად მთვარელიძე
დავით შემოქმედელი
ცირა ყურაშვილი
მარიამ წიკლაური
ვიკა მჟავანაძე
ვერიკო ზამთარაძე
ნინო ქადაგიძე
ციური ხეთერელი
ნინო ბაქანიძე
რონა ბუბუტეიშვილი
მაკა გელაშვილი
ალექსანდრე დიდებაშვილი
ნატალია ვარადაშვილი
ლინა ბარათაშვილი
თამარ ფარჩუკიძე
ვაჟა ოთარაშვილი
ია ჯიათელი
ზურაბ ყოლბაია
ნუნუ კერესელიძე
შოთა ზოიძე
თამარ ლომიძე
ირაკლი ასლანიკაშვილი
თამილა ნიჟარაძე
ზოია ვაშაკიძე
ირმა ქურასბედიანი
ავთანდილ ივანიძე
ნათია გრიგალაშვილი
მიხეილ სიჭინავა
ზაქარია ზედგინიძე
გივი გოგნაძე
ანა წერეთელი
მზია ოდიაშვილი
ბესარიონ ქვრივიშვილი

თინათინ ალადაშვილი
შორენა ჩახნაშვილი
ვახტანგ მელიქიძე
გივი ილურიძე
მაია ტყემალაძე
ირაკლი გველებიანი
ლია ჭაბაშვილი
მირიან ზალოშვილი
მამუკა დემეტრაშვილი
დავით კიკვაძე
ნანა ღვინეფაძე
მიმოზა ჩარგაზია
მამა ბენიამენი (ჩიხორლიშვილი)
ბესიკ გოგილავა